# ლელო

დამოუკიდებელი სპორტული გაზეთი

12 მარტი, სამშაბათი, 1991 წ.
№ 44 (10457) ● ფასი 10 კაპ.

გამოდის 1934 წლის 13 აპრილიდან


ეროვნული ბიბლიოთეკა

## საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციის წესდება

პროექტი

### 1. საერთო დებულება

1. საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაცია (სსჟფ) არის დამოუკიდებელი ნებაყოფლობითი საზოგადოებრივი შემოქმედებითი ორგანიზაცია, რომელიც აერთიანებს იმ პირებს, რომლებიც ფიზიკური აღზრდისა და სპორტულ თემებს აშუქებენ მასობრივი ინფორმაციის მეშვეობით.

2. სსჟფ აქტიურად თანამშრომლობს საქართველოს სპორტის დეპარტამენტთან, საქართველოს დამოუკიდებელ ჟურნალისტთა კავშირთან, სხვა სპორტულ და დაინტერესებულ ორგანიზაციებთან, ასოციაცია თავისი წევრების ინტერესებს წარმოაჩენს, როგორც რესპუბლიკაში, ისე მის ფარგლებს გარეთ, მათ შორის საზღვარგარეთის ორგანიზაციებში.

3. ფედერაცია იურიდიული პირია და თავის საქმიანობას წარმართავს არსებული კანონმდებლობის საფუძველზე.

### 11. მიზნები და ამოცანები, სსჟფ უფლებრივი მდგომარეობა

4. სსჟფ იქმნება თავისი წევრების ინტერესების დასაცავად, ყველა პირობას უქმნის მათ თავიანთი ფუნქციების შესასრულებლად, ილვწის მათი შემოქმედებითი დონისა და კვალიფიკაციის ასამაღლებლად, მასობრივი ინფორმაციის საშუალებებით თავისი აზრის გამოსახატავად.

5. ფედერაციის ძირითადი ამოცანებია:

ა) ჯანსაღი ცხოვრების წესის პროპაგანდა;

ბ) მოსახლეობის მიზიდვა ფიზკულტურასა და სპორტში რეგულარული მეცადინეობისათვის;

გ) სპორტში ზნეობრივი სიწმინდისათვის ბრძოლა;

დ) სპორტული შეჯიბრებების გაშუქება მაღალ პროფესიულ დონეზე;

ე) ხელი შეუწყოს სპორტულ თემაზე მომუშავეთა შემოქმედებით ზრდას;

ვ) მუშაობის ნორმალური პირობების უზრუნველყოფას;

ზ) ნორმალური საყოფაცხოვრებო პირობების უზრუნველყოფას;

თ) საერთაშორისო ურთიერთობათა განვითარებას;

ი) იმ პირთა სოციალური და ეკონომიკური სამართლებრივი და-

იხ. გვ. 4

რეფერენდუმის წინ

საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენა საერთო-სახალხო საქმეა!

## 31 მარტს — ყველა ერთსულოვნად

გავეცანით „ლელოს" თანამშრომელთა მიმართვას რესპუბლიკის ფიზკულტურელებისა და სპორტსმენებისადმი. თბილისის სპორტის სასახლის მრავალეროვანი კოლექტივი 31 მარტს ერთსულოვნად მიიღებს მონაწილეობას რესპუბლიკურ რეფერენდუმში და ხმას მისცემს საქართველოს სახელმწიფოებრიობის აღდგენას. ამასთან გაცნობებთ, რომ სპორტის სასახლის კოლექტივი მონაწილეობას არ მიიღებს 17 მარტის საკავშირო რეფერენდუმში.

თბილისის სპორტის სასახლის კოლექტივი

## სოკ-ი დაეხმარება ქუვეითს

ლოზანაში სოკ-ის აღმასკომის საგანგებო სხდომაზე გადაწყდა, რომ საერთაშორისო ოლიმპიური კომიტეტი ქუვეითს დაეხმარება ქვეყნის სპორტული სტრუქტურების აღდგენაში. ლოზანიდან მიღებულ ცნობაში დაკონკრეტებული არაა თუ რა სახის დახმარებას სთავაზობს სოკ-ი ომისგან დაზარალებულ ქუვეითს.

## შეიცვალა და... აღდგა

სომხეთის მთავრობამ რესპუბლიკაში ფიზკულტურისა და სპორტის ახალი სტრუქტურის შემუშავებისას ძველი გზა აირჩია — აღადგინა სომხეთის რესპუბლიკის მინისტრთა საბჭოსთან არსებული ფიზიკური კულტურისა და სპორტის სახელმწიფო კომიტეტი.

## ეს-ესაა შევიტყვეთ...

კალათბურთი

### ლიგის ცენტრალური მატჩი

ნბა-ს ლიგის კალათბურთელთა ჩემპიონატში გაიმართა ერთ-ერთი ცენტრალური მატჩი ატლანტისა და წყნარი ოკეანის დივიზიონების ლიდერთა, „ბოსტონსა" და „პორტლენდს" შორის. უაღრესად მძაფრი ბრძოლა მოიგო „ბოსტონმა" — 111:109.

ლიდერთა ცვლაა შუა-დასავლეთის დივიზიონში. „იუტამ", რომელიც აქამდე დაწინაურებული იყო, ჯგუფში წააგო შეხვედრა „ნიუ-იორკთან" — 92:101 და საშუალება მისცა „სან-ანტონიოს" გადაესწრო მისთვის, ვინაიდან ამ უკანასკნელმა შაბათს „სიეტლს" აჯობა 112:99.

წყნარი ოკეანის დივიზიონის ლიდერი „პორტლენდი" ჯერჯერობით ინარჩუნებს თავის პოზიციას, მაგრამ მას მჭიდროდ მიუახლოვდა „ლოს-ანჯელეს ლეიკერსი", რომელმაც ჯერ „ვაშინგტონი" დაამარცხა (87:72), მერე კი „ორლანდოს" მოუგო 115:101.

და კიდევ ერთ ლიდერზე, რომელიც სათავეში უდგას ცენტრალური დივიზიონის სატურნირო ცხრილს. „ჩიკაგომ" საკმაოდ დიდი სხვაობით (35 ქულით) აჯობა „ატლანტას" 122:87.

გთავაზობთ დანარჩენი მატჩების შედეგებს:

„დეტროიტი" — „ინდიანა" 114:112.

„ჰიუსტონი" — „ფილადელფია" 97:80.

„შარლოტა" — „მილუოკი" 107:98.

„ფენიქსი" — „მინესოტა" 123:109

„დენვერი" — „დალასი" 124:110

„მაიამი" — „ნიუ-ჯერსი" 101:88

„გოლდენ სტეიტი" — „საკრამენტო" 97:87

„კლივლენდი" — „ლოს-ანჯელეს კლიპერსი" 98:93.

**აღმოსავლეთის კონფერენცია**
**ატლანტის დივიზიონი**

| | მ. | წ. | % |
|---|---|---|---|
| „ბოსტონი" | 46 | 16 | 742 |
| „ფილადელფია" | 33 | 27 | 555 |
| „ნიუ-იორკი" | 29 | 32 | 475 |
| „ვაშინგტონი" | 22 | 39 | 361 |
| „მაიამი" | 20 | 41 | 328 |
| „ნიუ-ჯერსი" | 19 | 42 | 311 |

**ცენტრალური დივიზიონი**

| | | | |
|---|---|---|---|
| „ჩიკაგო" | 44 | 15 | 746 |
| „დეტროიტი" | 39 | 23 | 629 |
| „მილუოკი" | 37 | 25 | 597 |
| „ატლანტა" | 35 | 27 | 565 |
| „ინდიანა" | 29 | 32 | 475 |
| „კლივლენდი" | 22 | 39 | 361 |
| „შარლოტა" | 18 | 42 | 300 |

**დასავლეთის კონფერენცია**
**შუა-დასავლეთის დივიზიონი**

| | | | |
|---|---|---|---|
| „სან-ანტონიო" | 39 | 19 | 672 |
| „იუტა" | 40 | 20 | 666 |
| „ჰიუსტონი" | 36 | 24 | 600 |
| „დალასი" | 22 | 38 | 367 |
| „ორლანდო" | 21 | 40 | 344 |
| „მინესოტა" | 19 | 40 | 322 |
| „დენვერი" | 17 | 43 | 283 |

**წყნარი ოკეანის დივიზიონი**

| | | | |
|---|---|---|---|
| „პორტლენდი" | 45 | 15 | 750 |
| „ლ-ა ლეიკერსი" | 44 | 18 | 710 |
| „ფენიქსი" | 42 | 19 | 689 |
| „გოლდენ სტეიტი" | 32 | 28 | 533 |
| „სიეტლი" | 30 | 30 | 500 |
| „ლ-ა კლიპერსი" | 20 | 41 | 328 |
| „საკრამენტო" | 17 | 42 | 288 |

ფეხბურთი

გაიმართა ევროპის ქვეყნების საფეხბურთო ჩემპიონატების მორიგი მატჩები.

### იტალია

### ისევ „სამპდორია" და ისევ „ინტერი"

24-ე ტურში ორივე ლიდერმა ერთნაირი ანგარიშით (2:0) გაიმარჯვა. „სამპდორიამ" დაამარცხა „მილანი", ხოლო „ინტერმა" — „იუვენტუსი".

„სამპდორიას" შემადგენლობაში თავი გამოიჩინა მანჩინიმ. 51-ე წუთზე იგი მოცელეს საჯარიმო მოედანზე და ვიალიმ ზუსტად გამოიყენა პენალტი. 78-ე წუთზე კი მანჩინიმ თავად გაიტანა გოლი. „მილანი" ამ მატჩში დაღლილი ჩანდა საფრანგეთის „მარსელთან" შეხვედრის შემდეგ.

„ინტერის" შემადგენლობაში არ თამაშობდნენ გერმანელი ფეხბურთელები — დისკვალიფიცირებული კლინსმანი და ტრავმირებული ბრემე. და მაინც, გუნდმა დამაჯერებლად მოუგო „იუვენტუსს". ანგარიში 36-ე წუთზე გახსნა მესამე გერმანელმა — მათეუსმა ბრწყინვალე დარტყმით 25 მეტრიდან. შესვენების შემდეგ კი ბატისტინიმ ანგარიში ორამდე გაზარდა.

ტურში ერთი „ჰეთ-ტრიკიც" გაკეთდა. „ბოლონიას" კარში (მისსავე მოედანზე) სამი გოლი გაიტანა „ჯენოვას" ურუგვაელმა თავდამსხმელმა აგილერამ.

„ნაპოლიმ" ტრავმირებული მარადონას გარეშე ფრედ (0:0) დაამთავრა გასვლითი მატჩი „ფიორენტინასთან".

ტურის დანარჩენი შეხვედრები დამთავრდა ასე: „ატალანტა" — „ლეჩე" 2:1, „ბარი" — „ლაციო" 0:0, „კალიარი" — „პიზა" 2:1, „ტორინო" — „ჩეზენა" 2:1, „რომა" — „პარმა" 1:1.

**გათამაშების ცხრილი**

| | მ. | ფ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| „სამპდორია" | 14 | 7 | 3 | 35 |
| „ინტერი" | 14 | 7 | 3 | 35 |
| „მილანი" | 12 | 8 | 4 | 32 |
| „იუვენტუსი" | 10 | 8 | 6 | 28 |
| „პარმა" | 10 | 8 | 6 | 28 |
| „ჯენოვა" | 10 | 8 | 6 | 28 |
| „ლაციო" | 6 | 15 | 3 | 27 |
| „ტორინო" | 9 | 8 | 7 | 26 |
| „რომა" | 8 | 9 | 7 | 25 |
| „ნაპოლი" | 6 | 11 | 7 | 23 |
| „ბარი" | 7 | 8 | 9 | 22 |
| „ატალანტა" | 6 | 10 | 8 | 22 |
| „ფიორენტინა" | 5 | 11 | 8 | 21 |
| „ლეჩე" | 4 | 11 | 9 | 19 |
| „პიზა" | 6 | 5 | 13 | 17 |
| „კალიარი" | 3 | 11 | 10 | 17 |
| „ბოლონია" | 3 | 8 | 13 | 14 |
| „ჩეზენა" | 4 | 5 | 15 | 13 |

### ესპანეთი

### ხრისტო სტოიჩკოვის „ბენეფისი"

ესპანეთის ჩემპიონატის 25-ე ტური, ფაქტობრივად, ბულგარელი ხრისტო სტოიჩკოვის ბენეფისად გადაიქცა. „ბარსელონას" ამ ნიჭიერმა თავდამსხმელმა, რომელიც ორი თვის მანძილზე დისკვალიფიცირებული იყო, ბილბაოში ადგილობრივი „ატლეტიკის" კარში ოთხი გოლი გაიტანა. „ბარსელონამ" ეს შეხვედრა დიდი ანგარიშით — 6:0 მოიგო. ორი სხვა გოლი „ატლეტიკის" კარში ბაკეროსა და სალინასის უძლიერესი დარტყმების შემდეგ გავიდა.

მადრიდის „რეალმა" შინ მოულოდნელი მარცხი განიცადა სან-სებასტიანის თანაკლუბელთაგან — 2:3. მასპინძლებიდან გოლები გაიტანეს: გორდილიომ (40 წ.) და მიჩელმა (90-ე წუთი, პენალტი), სტუმართაგან — მარტინესმა (17), ოლდრიჯმა (25) და ურიამ (89). მიმომხილველები აღნიშნავენ, რომ მადრიდელთა ყოფილი მწვრთნელი ჯონ ტოშაკი ტრიბუნაზე იჯდა და რაციით უწევდა კონსულტაციას თავისი მომავალი გუნდის წევრებს (აპრილში ტოშაკი სან-სებასტიანში დაიწყებს მუშაობას).

ბომბარდირთა დავაში ჯერჯერობით ოთხი ლიდერია — 12-12 ბურთი აქვთ გატანილი უგო სანჩესს („რეალი", მადრიდი), იან ურბანს („ოსასუნა"), ხრისტო სტოიჩკოვს („ბარსელონა") და მანოლო სანჩესს („ატლეტიკო", მადრიდი). — ტურის სხვა მატჩები დამთავრდა ასე: „ოსასუნა" — „ატლეტიკო" (მადრიდი) 2:3, „ვალიადოლიდი" — „სევილია" 2:1, „ბეტისი" — „მალიორკა" 2:2, „ესპანიოლი" — „კადისი" 2:1, „ვალენსია" — „სარაგოსა" 2:0, „ოვიედო" — „ლოგრონიესი" 0:0, „ტენერიფე" — „კასტელონი" 1:0, „ბურგოსი" — „სპორტინგი" 1:1

იხ. გვ. 4

## ოსტატებო, ამინდმა ხომ არ შეგაშინათ...

მტყორცნელი-მძლეოსნები მოგეხსენებათ, ვერსად შეადარებენ თავს (დახურული შესაფერისი სარბიელი არ გაგვაჩნია) და, სურთ თუ არა, ნებისმიერ ამინდში ღია ცის ქვეშ უნდა იასპარეზონ. ტყორცნებში საქართველოს ზამთრის პირველობის მსაჯთა კოლეგია კარგა ხანს ჭოჭმანობდა ისეთ დიდ თოვაში, როგორიც გასულ შაბათს თბილისში მოდიოდა, ხომ არ გადაედოთ პირველობა. — არავითარი კომპრომისი, შეჯიბრება უნდა ჩატარდეს! — მიიღეს საბოლოო გადაწყვეტილება. ოღონდ ეგაა, ასეთ პირობებში არ შეიძლებოდა მაღალ შედეგებზე ფიქრი. ბევრს ეგონა სპორტსმენები ფორმალურად დადგებოდნენ სატყორცნ სექტორში, მაგრამ არა, განსაკუთრებით გამოიჩინეს თავი უროს მტყორცნელებმა.

ლიდერის იოსებ შავერდაშვილის („შევარდენი") მაღალი შედეგი, რომელიც მან ერთ-ერთ ცდაზე აჩვენა — 70,16 სმ, სპორტის ოსტატობის ნორმასაც კი აჭარბებდა. სხვათა შორის, ეს სპორტსმენი ბოლო დროს სისტემატურად ასრულებს მაღალ ნორმატივს. სულ ახლახან საკავშირო ასპარეზობაზეც გადააჭარბა ოსტატის შედეგს და მე-9 ადგილზე დამკვიდრდა ქვეყნის უძლიერეს მტყორცნელთა შორის. ლერი ჩიტაიშვილმა ზუსტად 64 მეტრზე გაზავნა სპორტული იარაღი, რაც ოსტატობის კანდიდატის მოთხოვნაზე 3,5 მეტრით უკეთესია. მესამე პრიზიორი გახდა ამავე საზოგადოების წევრი პაატა ლაჩავა, რომლის მიერ ნატყორცნმაურომ 59.36 სმ-ზე იფრინა. ეს პირველი თანრიგის შედეგია. სამივე სპორტსმენს ო. ოდიშვილი ამზადებს.



სერგეი დევიატკინი

თუ გავითვალისწინებთ, რომ ამ შეჯიბრებაზე სპორტსმენებს სარეიტინგო ქულებიც ერიცხებოდათ და ამისათვის მათ სულ ცოტა ოსტატობის საკანდიდატო ნორმა უნდა ეჩვენებინათ, უროს მტყორცნელებზე აუგი არ გვეთქმის. აი, ბადროს მტყორცნელებმა კი აშკარად ვერ



იოსებ შავერდაშვილი

გაართვეს თავი ამოცანას. მათი სარეიტინგო ორიენტირიც სპორტის ოსტატობის კანდიდატობა იყო (50 მ. 50 სმ). მაგრამ ვერც ერთი ვერ მისწვდა ამ ზღვარს. საუკეთესო შედეგი 47,32, რომელიც დინამოელმა სერგეი დევიატკინმა აჩვენა მხოლოდ პირველი თანრიგისაა. მომდევნო ადგილებზე გამოსულმა მიხეილ მესხმა და გოგიტა სურგულაძემ (ორივე „შევარდენი") შესაბამისად 45.28 და 42.34 აჩვენეს (მეორე თანრიგი). აქ დაბალი შედეგები ნაწილობრივ იმითაც აიხსნება, რომ ყოველი ცდის შემდეგ თოვლში დაცემული ბადრო საგრძნობლად სველდებოდა და მომდევნო ცდაზე, იმის შიშით, რომ იგი ხელიდან დაუსხლტებოდათ, ზედმეტად არავინ რისკავდა.

ჰ. უნგიაძე

ა. კოტორაშვილის ფოტო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჩვენი ისტორია

# ქუთაისის სპორტული წარსულიდან

(წერილი მეორე)

მას შემდეგ, რაც 1857 წელს ქუთაისი საგუბერნიო ცენტრად იქცა, ქალაქის იერი შეიცვალა. 1848 წელს დაიწყო ბულვარის მშენებლობა; მდინარე რიონზე აიგო კაპიტალური ხიდი (თეთრი ხიდი); გაიხსნა ვაჟთა კლასიკური გიმნაზია; ქალაქში მომრავლდა ორსართულიანი ქვიტკირის სახლები; კეთილმოეწყო ქუჩები. ერთი სიტყვით, რიონისპირა ქალაქი ტიპიურ საგუბერნიო ცენტრს წარმოადგენდა.

იმერეთის სამეფოს გაუქმებას და რუსეთის მიერ ქვეყნის ძალით დაპყრობას რუსული მმართველობის დამკვიდრება მოჰყვა. ცარიზმი უხეშად და უტიფრად ერეოდა ქართველი ხალხის ცხოვრების ყველა სფეროში, ხელს უშლიდა და შეგნებულად აბრკოლებდა ქვეყნის როგორც ეკონომიკურ წინსვლასა და კულტურულ-საგანმანათლებლო საქმიანობას, ასევე ქართველი ხალხის ფიზიკური წრთობისა და აღზრდის საქმესაც.

მე-19 საუკუნის მეორე ნახევარში ქუთაისის კულტურულ ცხოვრებაში მნიშვნელოვანი ადგილი ეჭირა სხვადასხვა სახის გართობასანახაობებს. ქალაქში ხშირად იმართებოდა ე. წ. თეატრალიზებული და სპორტული ღონისძიებები: ყეენობა, ბერიკაობა, კრივი, ლელობურთი და სხვა. ყოველ ასეთ ღონისძიებას ზღვა ხალხი ესწრებოდა. ცნობილი მწერალი გიორგი წერეთელი იგონებს: „1840 წელს მე თვითონ მახსოვს, რომ ქუთაისში მოხდა საგანგებო ყეენობა, მთელი ქალაქი გაყოფილი ებრძოდა ერთმანეთს სამი დღე. ბევრი დაშავდა კრივში".

გასული საუკუნის 60-იანი წლებიდან ქუთაისის სასწავლებლებში ყალიბდება სპორტის ე. წ. კლასიკური სახეობები — ტანვარჯიში, ფარიკაობა და სხვა. ისტორიამ ქალაქში ფარიკაობის პირველი მასწავლებლის ვინაობაც შემოგვინახა. ეს იყო რუდოლფ ვაისი, წარმოშობით ავსტრიელი, რომელიც წლების მანძილზე ქუთაისში ეწეოდა სპორტულ მოღვაწეობას და ფარიკაობის პროპაგანდას.

1864 წელს რუსეთის იმპერიაში ახალი დებულების საფუძველზე შეიქმნა ორი ტიპის სასწავლებელი — კლასიკური და რეალური, ცოტა უფრო გვიან სასწავლებელში კლასგარეშე მუშაობის ფორმით ტანვარჯიშის გაკვეთილები შემოიღეს. სამწუხაროდ, საამისო პირობები არა მარტო ქუთაისსა და მის გუბერნიაში, არამედ მთელ კავკასიაშიც არ იყო. სასწავლებლებს არ გააჩნდათ დარბაზები, არ ჰქონდათ საჭირო ტანვარჯიშული იარაღები და, რაც მთავარია, არ ჰყავდათ ამ საგნის სპეციალისტი. გასული საუკუნის 70-იან წლებში ქუთაისის სასწავლებლებში ფიზიკურ აღზრდას ასწავლიდნენ შემთხვევითი პირები: აბრამოვი, საკლი, მალცევსკი, ბაზილევიჩი, დრეველოვსკი და სხვები, რომლებიც შორს იყვნენ ნამდვილი ტანვარჯიშის გაკვეთილების სტრუქტურის ცოდნისაგან. მათი აზრით, საგნის სწავლება გამოიხატებოდა სამწყობრო სიარულით, მარცხნივ და მარჯვნივ ტრიალით და ადგილზე გათვლით.

ბუნებრივია, გასამხედროებული „გიმნასტიკის" სწავლება დიდ ვერაფერ ეფექტს მოახდენდა პატარებზე და სიმართლეს ღაღადებდა დიდი აკაკი, როცა ამგვარ ფიზიკურ აღზრდას სოფლის იდილიას ამჯობინებდა და დასძენდა: „ამაებს ყველას მოკლებულია ქალაქელი. „გიმნასტიკას" გეტყვით!.. მაგრამ „გიმნასტიკა" მხოლოდ ტანჯვაა ბავშვის და სხეულის ჯორჯვაა. სხვადასხვა წევრებს ადამიანის გვამისას განა ერთი და იგივე მოთხოვნილება აქვს? მე ეგება მარცხენა ფეხი მინდა ვავარჯიშო და იმ დროს ხელი შევასვენო. ყველაფერს თავისი დრო აქვს და ამ დროს თვითონ ბუნება უფრო უტყუვრად უჩვენებს. „გიმნასტიკის" დროს კი, წინააღმდეგ ჩემი მოთხოვნილებისა, უნდა მხოლოდ სხვისი ბრძანებით ვიმოძრაო". ამიტომ არის, რომ მწერალი ბურთაობას და სხვა ქართულ ხალხურ თამაშობებს ამჯობინებს.

გასული საუკუნის 60-იან წლებში ქუთაისში ცნობილმა ვაჭრებმა — ძმებმა ხარაზიშვილებმა, დღევანდელი ოპერისა და ბალეტის შენობის ტერიტორიაზე ააგეს ცირკის შენობა, რომელიც იჯარით აიღო ცნობილმა საქმოსანმა ტომსონმა. ეს უკანასკნელი რუსეთის სხვადასხვა ქალაქებიდან ცირკის მსახიობებთან ერთად იწვევდა ცნობილ მოჭიდავეებს. ქუთაისის ცირკის ხშირი სტუმრები იყვნენ ნესტორ ესებუა, კულა გლდანელი, რაჭველი ქვათაძე და სხვა სახელოვანი ფალავნები.

1884 წლის 1 დეკემბერს გაზეთი „დროება" წერდა ქუთაისში კულა გლდანელის მორიგი გამარჯვების შესახებ. ასპარეზობას დიდძალი ხალხი დასწრებია. იმ დღეს კულას სამი ქუთაისელი ფალავანი დაუმარცხებია. სამწუხაროდ, გაზეთმა ვერ შემოგვინახა იმ ფალავანთა სახელები, რომლებიც საქვეყნოდ ცნობილი გლდანელის წინააღმდეგ გამოდიოდნენ.

1885 წლის 6 ივლისის თმავე გაზეთ „დროების" ცნობით, 1 ივლისს ქუთაისის თეატრში კვლავ გამართულა ჭიდაობა. ამჯერად ნესტორ ესებუა და რაჭველი ქვათაძე შეხვედრიან ერთმანეთს. გაზეთი წერდა: „ამ თვის პირველს ჭიდაობა იყო გამართული. მოჭიდავენი იყვნენ მეგრელი ესებუა და რაჭველი ქვათაძე. ამ ორ ფალავანს თავიანთი ღონე ნაცადი აქვს გლდანელთან, ჯობნით რომელმა აჯობა, ძნელი სათქმელია".

ქუთათურებს ნესტორ ესებუა თავიანთ საყვარელ ფალავნად მიაჩნდათ და, ბუნებრივია, მის ყოველ გამოსვლას გულშემატკივართა დიდი არმია ესწრებოდა.

ქუთაისში სახელოვან ფალავანთა ასპარეზობას გაზეთი „დროება" ასე აგვიწერს: „ქუთაისი არაფერში არ ჩამოუვარდება უკან საქართველოს სატახტო თბილის ქალაქს. ქალაქელებს ერთი გლდანელი გვყანდათ ამაყობის საგნად, სამაგიეროდ, ჩვენც გამოგვიჩნდა ფალავანი, რომელიც გლდანელისთანას სამს შეკრავს და შებოჭავს, ვერც მოყვანილობით და შეხედულობით შეედრება გლდანელი მას. ეს გახლავთ ნესტორ ესებუა — მეგრელი, გამოგვიგზავნეთ თქვენი გლდანელი და დაგვიმტკიცეთ, რომ ლომი სრულებითაც არ არის საცინრად ასაგდები საჭმელი; ხუმრობა კი არ გეგონოთ, ხმა გავარდნილა — ესებუამ ბათუმში დაამარცხა გამოჩენილი გლდანელი. ეხლა ამ უკანასკნელს ითხოვენ ქუთაისში, ესებუასთან საჭიდაოდ, მაგრამ ვერ ბედავსო. მოგეხსენებათ, ეს ნახევარი წელიწადია უცდის ქუთაისში გლდანელს მეორე მოჭიდავე რაჭველი ქვათაძე. გავთავდით ის-ის იყო ლოდინით და ბოლოს განვიზრახეთ ამ ორი ფალავნის დაჭიდება".

როგორც ირკვევა, ხარაზიშვილების თეატრში, ისევე, როგორც მათსავე ცირკში, ხშირად იმართებოდა საინტერესო შეხვედრები ჭიდაობაში. იმ იმედით, რომ საქვეყნოდ ცნობილ ფალავანთა საყურებლად საჭიდაო სარბიელს დიდძალი ხალხი მოაწყდებოდა, ბინის მეპატრონეებს შეხვედრა ცირკიდან ხშირად გადაჰქონდათ თეატრისათვის განკუთვნილ შენობაში.

მას შემდეგ, რაც ლეგენდარულმა ფალავნებმა: ნესტორ ესებუამ და კულა გლდანელმა აქტიური სპორტი დატოვეს, ერთმანეთისაგან დამოუკიდებლად მოჭიდავეთა დასი შექმნეს. ისინი მოგზაურობდნენ საქართველოში და პოპულარიზაციას უწევდნენ ჭიდაობას და ძალოსნობას.

ცნობილი ფალავანი კულა გლდანელი თავისი დასით ხშირად მართავდა სპორტულ საღამოებს, სადაც ძირითადი და მთავარი ფალავანთა შერკინება იყო. ხშირად ასეთი შეხვედრები საქველმოქმედო მიზნით ეწყობოდა.

მოჭიდავეთა ასპარეზობის წინ ხალხში იკრიბებოდა ფული, რომელსაც როგორც ფალავნები, ასევე ჭიდაობის მოწყობის ინიციატორები სწირავდნენ რაიმე კეთილ საქმეს.

ამ მხრივ, საყურადღებოა ცნობილი თერგდალეულის კირილე ლორთქიფანიძის პირად არქივში დაცული წერილი, რომელიც დათარიღებულია 1897 წლის 23 ნოემბრით. აღნიშნულ წერილს სენაკის სააზნაურო სკოლის ინსპექტორი სამსონ ყიფიანი უგზავნის ნოქალაქევის უბნის ინსპექტორს ბესარიონ იოსელიანს, რომელიც გასული საუკუნის ბოლოს ბოქაულად მუშაობდა ნოქალაქევში. აი, თვით, წერილის ტექსტიც: „ძმაო ბესარიონ! უმორჩილესად გთხოვ, ან ამაზე წარწერით ან ცალკე წერილით მაცნობეთ, თქვენი ნოქალაქევის უბნის ბოქაულობის დროს, როდესაც გლდანელს ჭიდაობა გაუმართავს ძველს სენაკში, მოჭიდავეს, ან ჭიდაობის მოთავეებს გადაუდვია რაიმე ფული ჩვენი სკოლისათვის თუ არა? თუ გადაუდვიათ, რამდენი? ეგ ცნობა ჩემთვის საჭიროა და თქვენს მეტი ყველანი უარს ამბობენ; ჩვენ არა ვიცით რა, ბესარიონ იოსელიანი იყო მაშინ ბოქაულად და დამსწრედ და იმას ეცოდინებაო, ასე ამბობენ. დავშთები მარად შენი პატივისმცემელი სენაკის სააზნაურო სკოლის ინსპექტორი ს. გ. ყიფიანი".

საპასუხო წერილში ს. გ. ყიფიანს ბ. იოსელიანი წერს: „დიდად პატივცემულო სამსონ გიორგის ძევ! ჩემი ნოქალაქევის უბნის ბოქაულობის დროს ძველს სენაკში გლდანელს დანიშნული ჰქონდა ჭიდაობა, მაგრამ, რადგან ჭიდაობის დაწყების წინ უსიამოვნება ასტყდა ხალხთა შორის, ესე არ შემდგარა წესიერად. ამისათვის მოგროვილი ფული, როგორც მახსოვს, ზოგიერთებმა უკან წაიღეს და დანარჩენი მოჭიდავეებს და მეზურნეებს მისცეს და შკოლის სასარგებლოდ არაფერი გადადებულა. ბოდიშს ვიხდი ამდენი ხნის პასუხის მოუცემლობისათვის, მაგრამ ეს თქვენი წერილი ქაღალდებში გამებნია და ახლა ძლივს ვნახე. მარად თქვენი პატ. ბ. იოსელიანი" (ქუთაისის სახელმწიფო ისტორიულ-ეთნოგრაფიული მუზეუმი, ქ. 6417/665).

ქუთაისის სპორტულ ცხოვრებაში კვლავ დიდი ავტორიტეტით სარგებლობდა მრავალსაუკუნოვანი ეროვნული სპორტის საცხენოსნო სახეობები, რომლებიც ქალაქის გარეუბნებში იმართებოდა და დიდძალი ხალხი ესწრებოდა. 1898 წლის 16 ოქტომბერს გაზეთ „ივერიის" ცნობით, „11 ოქტომბერს აქაურმა მარულას საზოგადოებამ გამართა ქუთაისის განაპირას ს. ბანოჯას ახლო მარულა. საჩუქარი პირველის ჰენებისა 200 მან. იყო: პირველის ცხენისათვის 160 მან; მეორისათვის 40 მან. პირველ ჰენებაში მონაწილეობის მიღება შეეძლოთ ცხენების ყოველის მხრის, ყოველნაირის ჯიშისას და ყოველის ხნისას, როგორც ჰაკს, ისე ულაყს; ეს ჰენება ეგრედ წოდებული ჯენტლმენური ჰენება იყო. სარბენალი მანძილი 2 ვერსი და 100 საჟ. ტვირთი სამის წლის ულაყისათვის 4 ფუთი და 7 გირვანქა, 4 წლისათვის — 4 ფუთი და 15 გირვანქა და უხნესისათვის 4 ფუთი და 23 გირვანქა, ჰაკებს 5 გირვანქით ნაკლები ჰქონდათ. ამ ჰენებაში ორივე საჩუქარი აიღო უგანათლებულესი თ-დის დ. კ. დადიანის ულაყმა ცხენმა „თემირ თაზმა", რომელზედაც თვითონ პატრონი იჯდა: ეს ცხენი ტეგანოვის ჯოგისა არის.

მეორე ჰენებაში მონაწილეობას იღებდა ოთხი ცხენი: თავად ს. ანჩაბაძისა „ცურუნა", თავად ბ. მხეიძისა „კამათელი", ბ-ნ ჰრიხოდკოსი „ყარაჩაი" და ბ-ნ კოვალენკოსი „მტრედი". სარბენალი მანძილი 6 ვერსი იყო. საჩუქარი ასის მანეთის ნივთები და ოცი მანეთი. ფული უკანასკნელ ორ ცხენს ხვდა".

მე-19-მე-20 საუკუნეების მიჯნაზე ქუთაისის სპორტული ცხოვრება თანაქალაქელთა ყურადღების ცენტრში იყო.

**ზურაბ ჯავახაძე.**

**ქუთაისი.**

„ლელოს" კრიტიკული გამოსვლის შემდეგ

# სადა გვაქვს დასაკარგი ფული...

**სამი წლის წინ წალენჯიხის რაიონის სოფელ ლიას თბილისის სახელობის კოლმეურნეობის სპორტული ბაზეზი საგანგაშო მდგომარეობაში იყო.**

„ლელოს" კრიტიკა სოფლის ხელმძღვანელობამ გულთან მიიტანა და მდგომარეობა გამოსწორდა: გაკეთდა ფეხბურთის მოედანი ტრიბუნებით, კალათბურთისა და ფრენბურთის მოედნები: ასაწყობი ჯკონსტრუქციის სპორტდარბაზისთვის 1989 წელს 250 000 მანეთი გადაიხადეს. ფეხბურთის მოედნის გვერდით დაიწყეს სოფლისთვის საოცნებო სპორტდარბაზის მშენებლობა, რომელიც იმავე წელს უნდა დამთავრებულიყო. დაწყებით კი დაიწყეს, მაგრამ, თურმე დამთავრება არ ეწერა. ჩვენში არავის გაუკვირდება გაჭიანურებული მშენებლობა, მაგრამ სამუშაოებისთვის მშენებლებმა ფეხბურთის მოედნის ერთი მხარე გაარღვიეს, მიმდებარე ტერიტორია კი გამოუყენებელია. ეს მაშინ, როდესაც ლიაში გახსნილია სპორტსკოლა, სადაც 160-მდე ბავშვია გაერთიანებული სპორტის სხვადასხვა სექციებში და ბაზების სიმცირის გამო, საშუალო სკოლაში არიან შეხიზნულები.

ანალოგიური სიტუაციაა წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობაში და წალენჯიხაში. სადაც იგივე ტიპის სპორტდარბაზები შენდება.

შექმნილ მდგომარეობასთან დაკავშირებით, შევხვდით საქსპორტმშენის სენაკის სამმართველოს უფროსს ბატონ ნოდარ ქობალავას:

— ლიას „თბილისის" კოლმეურნეობის თანხა სპორტკომიტეტს ჩვენთვის უნდა გადმოერიცხა, მაგრამ სამუშაოს უპერსპექტივობის გამო, ხელშეკრულებას ვერ გავაფორმებთ. წალენჯიხის ჩაის საბჭოთა მეურნეობის დარჩენილი თანხა, მათივე თხოვნით, გადავურიცხეთ თბილისის ფოლადკონსტრუქციების სამმართველოს, რომელიც, ეტყობა, კოლექტივს ჰპირდება სამუშაოს გაგრძელებას. ჩვენ ძირითადად საძირკველს ვაკეთებთ, დანარჩენი ქუთაისის კონსტრუქციების სამმართველომ უნდა შეასრულოს. ეს უკანასკნელი კი წინააღმდეგობას წააწყდა, რადგან ლითონკონსტრუქციებს რუსეთი არ უგზავნის, საქართველოში კი ანალოგიური კონსტრუქციები არ მზადდება. რუსეთი ამ ბოლო წლებში საოცარ ულტიმატუმებს გვიყენებს. წალენჯიხაში შექმნილი მდგომარეობა ჩვენთვის ახალი არ არის, რადგან მსგავსი სამუშაოები ბევრ რაიონშია დარჩენილი. ძნელია, ვინმეს რამე შევპირდეთ, რადგან ჩვენ თვითონ გამოუვალ მდგომარეობაში აღმოვჩნდით, ყველაფერი ერთმანეთს გადაეჯაჭვა, რომლის მთავარი მიზეზი „ცენტრია". რა დასამალია და, სპეციალურად არ გვიგზავნიან საშენ მასალებს.

ადგილობრივი ხელმძღვანელობა ჩივის თანხის დაკარგვის გამო. არც გაემტყუნებათ, 300 ათასამდე მანეთის დაკარგვა ერთი სოფლისთვის ადვილი როდია. ვინ არის განმკითხავი, ვინ დაუბრუნებს მშრომელებს საკუთარ ფულს, ვინ აუშენებს სპორტდარბაზს? იქნებ ჩვენს რესპუბლიკაში ვინმემ ითავოს მსგავსი კონსტრუქციების დამზადება, რითაც მართლაც რომ საშვილიშვილო საქმე გაკეთდება.

**ნუგზარ ჟვანია,**
**„ლელოს" საკ. კორ.**

მკითხველი ოცნებობს

# პროფესიული კრივი გნებავთ? იხილეთ!

**კრივი** და უწყინარი ჭიდილი ჩვენი საუკუნის 60-იან წლებამდე შემორჩა თბილისს და ეს ტრადიცია არაფრით ჩრდილავდა ქალაქს, მის მკვიდრთ. პირიქით, მოჩხუბარი ბიჭები მეორე წუთში ისევ მეგობრები იყვნენ. ახლა კი რა ხდება? — მოკლეს დანით! დაჭრეს დანით! ესროლეს იარაღი! სცემეს სასიკვდილოდ! ერთ კაცს ურტყამდა ათი! და რამდენ ასეთს გაიგებთ დღეს ჩვენს დედაქალაქში. შელახული ტრადიციები ისევ თბილისელებმა უნდა აღადგინონ, ამისათვის კი სხვა საქმეებთან ერთად საჭიროა ყველა რაინდული სპორტის სახეობის პროპაგანდა. განსაკუთრებით გამოვყოფდი პროფესიულ კრივს, რომელიც ერთ-ერთი ყველაზე პოპულარული სპორტის სახეობაა მთელს მსოფლიოში. ჩვენში კი რატომღაც ჩრდილში აღმოჩნდა. 50-იანი წლებიდან მოყოლებული მსოფლიოს სხვადასხვა კუთხის რინგებზე გაიმართა პროფესიული „საუკუნის მატჩებად" შერაცხული მრავალი ორთაბრძოლა, რომელმაც შეძრა მთელი კრივის სამყარო, ხოლო ჩვენ, ქართველი კრივის მოყვარულებმა, ამის შესახებ ძალიან ცოტა რამ ვიცით. შეუძლებელია ილაპარაკო რომელიმე მხატვრის ღირსებაზე ისე, თუ არ გინახავს მისი ნახატი ან რეპროდუქცია მაინც. ასევე შეუძლებელია ილაპარაკო რომელიმე დიდ მოკრივეზე, თუ არ გინახავს მისი ბრძოლა. ჩვენთვის უცნობია ჯო ლუისის, სონი ლისტონის, ლარი ჰოლმსის, რობერტო დურანის, „შუგარ" ლეონარდის, მარვინ ჰაგლერის, თომას ჰირნსის, ევანდერ ჰოლიფილდის და სხვა პროფესიონალი კორიფეების განუმეორებელი ბრძოლები, ურომლისოდაც წარმოუდგენელია კრივის ისტორია. სულ მალე შედგება კიდევ ერთი „საუკუნის მატჩი" — ჰოლიფილდ-ფორმენის ბრძოლა, რომელიც კვლავაც ბრწყინვალე მოგონებად დარჩება მსოფლიო კრივის ისტორიაში. ცნობილია, რომ საქართველოს ტელევიზია სპორტს დიდ ყურადღებას უთმობს. კარგი იქნებოდა თვეში ერთხელ ცისფერი ეკრანიდან თუ ვიხილავდით პროფესიული კრივის ამსახველ ჩვენში არსებულ ყველა მასალას. მერწმუნეთ, გადაცემა იქნება სასიკეთო პროპაგანდა მოზარდი თაობისათვის და მეტად საინტერესო ყველა ასაკის მაყურებელთათვის, რადგანაც პროფესიული კრივი ჭეშმარიტად ვაჟკაცთა და ღირსეულთა საქმეა.

**დავით ხანდოძე,**
**ისტორიის მეცნიერებათა კანდიდატი.**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ემზადებიან...

# საქმე — სიყვარულის პასუხად

საქართველოს პირველ ეროვნულ ჩემპიონატში გააზრებული თამაშით მაყურებელთა სიმპათიები დაიმსახურა მესამე ადგილზე გასულმა რუსთავის „გორდამ“.

გუნდის წლევანდელ სამზადისზე ვთხოვეთ მოეთხრო „გორდას“ მთავარ მწვრთნელს, საერთაშორისო კლასის სპორტის ოსტატს, საქართველოს დამსახურებულ მწვრთნელს **გივი ნოდიას.**

● **როდის დაიწყეთ მეორე ეროვნული ჩემპიონატისათვის მზადება?**

— „გორდა“ 10 იანვარს შეიკრიბა, სამედიცინო შემოწმების შემდეგ 15 იანვრიდან შევუდექით მზადებას. თავიდან შეკრებაზე ოცდაათამდე ფეხბურთელი გვყავდა — მათგან, ცხადია, საუკეთესოები შევარჩიეთ. შემდგომ გავემგზავრეთ ლესელიძეში, სადაც ყველა პირობა გვქონდა შექმნილი ნაყოფიერი ვარჯიშისათვის, ამას კი დიდად ვუმადლით საფეხბურთო კლუბ „გორდას“ პრეზიდენტს გურამ ქაშაკაშვილს და ლესელიძეში საწვრთნელი ბაზის დირექტორს ავთანდილ გასვიანს.

● **ლესელიძეში, ალბათ, ამხანაგურ მატჩებსაც გამართავდით...**

— იქ გამგზავრებამდე თბილისში შევხვდით „იბერიას“ და კატოვიცეს გუნდს. ორივეჯერ დავმარცხდით — 0:2 და 0:3. ამ მატჩებში ძირითადი შემადგენლობის რამდენიმე ფეხბურთელი გვაკლდა. ლესელიძეში ისე გავემგზავრეთ, რომ ორ შეხვედრაში ბურთი არ გვქონდა გატანილი, იქ კი კახეთის „თელავთან“ და თბილისის „მერანთან“ ფრედ — 1:1 და 0:0 დამთავრებული მატჩების შემდეგ ანგარიშით 3:0 მოვუგეთ კალუგის „ზარიას“, თბილისის „შევარდენი-1906“-ს —2:0, გაგრის „სიხარულს“ — 1:0. საწვრთნელი თამაშებით კმაყოფილნი ვართ — საშუალება მოგვეცა სხვადასხვა შემადგენლობით გამოვსულიყავით მინდორზე.

● **გუნდში მომხდარ ცვლილებებზე რას გვეტყვით?**

— „გორდას“ ძირითადი შემადგენლობის ბირთვი შენარჩუნებულია. ლანჩხუთის „გურიაში“ გადავიდა მამუკა აფციაური, ჩვენს კლუბში თამაშის სურვილი გამოთქვეს „ქუთაისის“ მოთამაშემ როსტომ თორლაშვილმა და ბათუმელმა მიხეილ მაისურაძემ, გუნდს დაუბრუნდა ნუგზარ ლობჟანიძე, შარშან, სეზონის მიწურულს „გორდაში“ ჩავრიცხეთ რუსთავის საფეხბურთო სკოლის აღზრდილები კახა ალადაშვილი და სანდრო ბურნაძე, რომლებმაც რამდენიმე თამაშშიც მიიღეს მონაწილეობა, წელს კი ამ ახალგაზრდებს დაემატნენ დათო დოლიძე, ზაზა პატარიძე, ვეფხია სულაძე. ისინი 16-17 წლისანი არიან და, იმედია, გამოცდილი ფეხბურთელების გვერდით თავდაუზოგავი ვარჯიშით ნამდვილ ოსტატებად იქცევიან.

● **პირველი ეროვნული ჩემპიონატი უკვე ისტორიის კუთვნილებაა. თქვენი აზრით, რას უნდა ველოდოთ მომავალში?**

— მე ოპტიმისტი გახლავართ. მართალია, პირველ ჩემპიონატში იყო ხარვეზები, მაგრამ იმთავითვე ვიმედოვნებდი, რომ პირველობა წარმატებით დამთავრდებოდა და ასეც მოხდა. მჯერა, ასევე იქნება წელსაც, მაგრამ სასურველია, მალე გადაიდგას საქმიანი ნაბიჯები საერთაშორისო სარბიელზე გასასვლელად. წელს, ალბათ, ჩვენი გუნდისთვის გაცილებით ძნელი იქნება საპრიზო ადგილის დაკავება, თუმცა „გორდა“ ყოველ თამაშზე გამარჯვების რწმენით გამოვა. ჩვენს მიმართ ყველა სიმპათიით არის განწყობილი, „გორდას“ მთელი რუსთავი უდგას მხარში, ამ სიყვარულს კი გუნდმა საქმით უნდა უპასუხოს.

საუბარი ჩაიწერა **რამინ გაბრიჭიძემ.**

## საკავშირო ჩემპიონატი

10 მარტს დაიწყო საბჭოთა კავშირის 1991 წლის ჩემპიონატი ფეხბურთში უმაღლესი ლიგის გუნდებს შორის. პირველი ტურის შედეგები: ცსკა — „მეტალისტი“ (ხარკოვი) 4:0, „არარატი“ (ერევანი) — „დინამო“ (მინსკი) 1:0, „სპარტაკი“ (ვლადიკავკაზი) — „ლოკომოტივი“ (მოსკოვი) 2:2, „ფახთაქორი“ (ტაშკენტი) — „ჩერნომორეცი“ (ოდესა) 0:0, „პამირი“ (დუშანბე) — „დნეპრი“ (დნეპროპეტროვსკი) 0:0.

# „მატჩის გადათამაშების უფლებას გვაძლევდნენ მხოლოდ იმიტომ, რომ უფრო მწარედ დავესაჯეთ“

**ქართული** ფეხბურთის ისტორიაში ბევრ შესანიშნავ თაობას ჩაუვლია, რომლებმაც წარუშლელი კვალი დატოვეს რესპუბლიკაში სპორტის ამ სახეობის განვითარებასა და პოპულარიზაციაში. ფეხბურთის მოყვარულები, რომელთაც პირველივე დღიდან ახსოვთ თბილისის „დინამოს“ თამაში საკავშირო ჩემპიონატის უმაღლეს ლიგაში, დაგვეთანხმებიან, რომ ამ ხანგრძლივი ისტორიის მანძილზე მხოლოდ სამი სხვადასხვა თაობის წარმომადგენლებს არ განუცდიათ სერიოზული და ხანგრძლივი წარუმატებლობა. ეს გახლდათ ომამდელი ბრწყინვალე გუნდი ბორის პაიჭაძის ხელმძღვანელობით, 60-იანი წლების საუცხოოდ შეთამაშებული „დინამო“, რომელმაც ქართული ფეხბურთის ისტორიაში პირველად მოიპოვა ჩემპიონატის ოქროს მედლები და, ბოლოს, 80-იანი წლების ევროპის თასების მფლობელთა თასის გათამაშებაში გამარჯვებული გუნდი, რომელმაც თითქოსდა შეაჯამა ქართული ფეხბურთის მიერ ევროპის უძლიერეს კლუბებთან ჭიდილში განვლილი რთული და ხანგრძლივი გზა. ყველა ამ წარმატებას საფუძველი ომისდროინდელმა თბილისის „დინამომ“ ჩაუყარა. ამ ვირტუოზთა თაობამ ჯერ კიდევ 40-იან წლებში დაუმტკიცა ყველას, რომ ქართველებს სხვაზე ნაკლებად არ შეუძლიათ ფეხბურთის თამაში. ბორის პაიჭაძე, გაიოზ ჯეჯელავა, გრიგოლ გაგუა, ასლან ხარბედია, მიხეილ ბერძენიშვილი, გიორგი ანთაძე, და სხვანი და სხვანი იმ თაობის წარმომადგენლები არიან, რომლის მხრებზეც გადაიარა იმ ხიმძიმემ, რაც ყოველი დიდი საქმის დასაწყისს ახლავს თან. ამ თაობის თითქმის ყველა მოთამაშეზე ბევრი დაწერილა და თქმულა, მაგრამ მათი ხელახლა გახსენება, ჩემი აზრით, მხოლოდ სიამოვნებას მოჰგვრის მკითხველს, კიდევ ერთხელ გაგვახსენებს იმ დროს, რომლითაც ასე ამაყობენ ფეხბურთის ძველი გულშემატკივრები. ჩვენი დღევანდელი სტუმარი, ომამდელი ფეხბურთის ერთ-ერთი საუკეთესო წარმომადგენელი **ასლან ხარბედია** გახლავთ.

ბატონ ასლანს ამ დღეებში 70 წელი შეუსრულდა. ჩვენი შეხვედრის უპირველესი მიზანიც სწორედ ამ იუბილეს მილოცვა და ამასთან, ქართული ფეხბურთის წარსულზე საუბარიც გახლდათ.

● **ბატონო ასლან, თქვენი თაობა პირველი იყო, რომელსაც სხვებზე ადრე მიეცა შესაძლებლობა შერკინებოდა კავშირის ძლიერ კლუბებს. უკვე პირველსავე წელს მან დაამტკიცა, რომ თამაში ყველაზე ტიტულოვან გუნდებთანაც შეიძლებოდა.**

— ჩვენ პირველები ვიყავით, ვისაც უნდა ეჩვენებინა, რომ ფეხბურთს ქართველი კაცი სხვაზე ნაკლებად არ თამაშობს. ჩვენ მინდორზე უნდა დაგვემტკიცებინა ქართველი კაცის ფანტაზია, ნიჭი და უნარი. ამიტომაც, ყველა შეხვედრას იმ წლებში განსაკუთრებული მონდომებით ვეკიდებოდით, და, თუ ეს შევძელით, თამამად ვიტყვი, რომ ჩემი თაობის ფეხბურთელებს ტყუილად არ უცხოვრიათ.

● **თუ შეიძლება გვიამბეთ თქვენი სპორტული ბიოგრაფიის შესახებ, რით დაიწყეთ და როგორ მოხვედით დიდ ფეხბურთში?**

— დავიბადე ფოთში, აქ ვეზიარე პირველად ფეხბურთს. 1936 წელს უკვე ფოთის პირველ გუნდში ვთამაშობდი, სადაც ჩემთან ერთად არაერთი ნიჭიერი ახალგაზრდა გამოდიოდა. ამ ერთმა წელმა ბევრი რამ შემმატა, რესპუბლიკის ძლიერ კლუბებთან ჭიდილში ისეთი გრძნობა გამიჩნდა, რომ მეტის გაკეთებასაც შევძლებდი. ზუსტად ერთი წლის შემდეგ თბილისში გადმოვედი და სახელმწიფო უნივერსიტეტის ეკონომიკური ფაკულტეტის სტუდენტი გავხდი. რაღა თქმა უნდა, თამაშიც აქ განვაგრძე. თუ რამე გავაკეთე ფეხბურთში, პირველ ყოვლისა, ამ გუნდში თამაშს უნდა ვუმადლოდე. იმ პერიოდში სტუდენტთა სპორტი აღზევებას განიცდიდა. საქართველოს ჩემპიონატში რამდენიმე უმაღლესი სასწავლებლის გუნდიც მონაწილეობდა. ჩვენი შეხვედრები მაყურებელთათვის ნამდვილ ზეიმად იქცეოდა ხოლმე, და ეს არც იყო გასაკვირი, რადგან თბილისის „დინამო“ და საქართველოს წამყვანი კლუბები შევსებას სწორედ სტუდენტთა გუნდებიდან იღებდნენ. სავსე ტრიბუნების წინ ყოველთვის ვცდილობდით მაქსიმუმი გაგვეკეთებინა, იქნებ, რომელიმე სპეციალისტს მოვწონებოდით და პირველ გუნდში გაეწია ჩვენთვის რეკომენდაცია. საბედნიეროდ, ამ მხრივ, მე გამიმართლა. ორი წლის შემდეგ ამიხდა ნანატრი ოცნება — „დინამოს“ მაისური ჩავიცვი.

● **სტუდენტთა ფეხბურთზე ბრძანეთ. მოგეხსენებათ, დღესდღეობით ამ სფეროში თითქმის ალარაფერი კეთდება. ამის ნათელი დადასტურებაა ისიც, რომ დედაქალაქის არც ერთი უმაღლესი სასწავლებლის გუნდი არ მონაწილეობს საქართველოს ჩემპიონატის უმაღლეს ჯგუფში, ალბათ, ესეც იყო მიზეზი, რომ ჩვენი ფეხბურთი წლების განმავლობაში დაღმა ეშვებოდა.**

— ასობით მოზარდს დაგისახელებთ, რომელთაც ყველა მონაცემი ჰქონდათ, კარგი ფეხბურთელები გამხდარიყვნენ, მაგრამ ეს ვერ შეძლეს ერთი თითქოსდა უბრალო მიზეზის გამო: სპორტსკოლის გუნდში თამაშის შემდეგ, ნიჭიერ ფეხბურთელთა უმეტესობას ოსტატთა გუნდებში იწვევენ, აქ მათ ისეთ ტიტულოვან და ნაცად მოთამაშეებთან უწევთ ვარჯიში, ბევრი ვერ სძლევს იმ ფსიქოლოგიურ ბარიერს — „ვარსკვლავების“ გვერდით ყოფნა რომ ჰქვია და სრულად ვერ ამჟღავნებს თავის პოტენციალს. ხშირად გულგატეხილი მოზარდი საბოლოოდ ემშვიდობება ფეხბურთს, მაგრამ ხომ შეიძლებოდა ბევრი ნიჭიერი ფეხბურთელის ბედი სხვანაირად წარმართულიყო? ეს იმ შემთხვევაში მოხდებოდა, თუ უმაღლეს სასწავლებლებში ფეხბურთი მაღალ დონეზე იდგებოდა. სტუდენტთა კლუ-



1946 წელი. მოსკოვის „სპარტაკი“ — თბილისის „დინამო“, ასლან ხარბედიასა და ვასილი სოკოლოვის ორთაბრძოლის მომენტი.

ბებში თანატოლებთან ერთად თამაშში პერსპექტიული მოზარდი შეიძენდა იმ გამოცდილებას და ოსტატობას, ურომლისოდაც დიდ ფეხბურთზე ფიქრი წარმოუდგენელიც კია. უნივერსიტეტში ჩემი თამაშის დროს შესაძლებლობა გვეძლეოდა რესპუბლიკის ჩემპიონატში შევხვედროდით ქუთაისის, სოხუმისა და ბათუმის გამოცდილ გუნდებს, მათთან თამაში იმის საშუალებას გვაძლევდა, რომ ჩვენ თვითონ გვეპოვა ჩვენი თავი და გამოგვემუშავებინა სათამაშო ხელწერა. ამის შემდეგ კი, როცა მაღალი რანგის გუნდებში გვიწვევდნენ, თავს შეზღუდულად აღარ ვგრძნობდით, რადგან საფეხბურთო ნათლობა უკვე მიღებული გვქონდა. მახსენდება 1938 წელი, როცა როსტოვში საკავშირო შეჯიბრება მიმდინარეობდა. ჩვენმა გუნდმა, რომელიც თითქმის მთლიანად სტუდენტებით იყო დაკომპლექტებული, პირველი ადგილი დაიკავა. აღსანიშნავია ისიც, რომ ფინალში ჩვენი მეტოქე მოსკოვის გუნდი იყო. ეს მატჩი მოვიგეთ გამანადგურებელი ანგარიშით 7:1. ალბათ, ამ კონკრეტული ფაქტიდანაც კარგად ჩანს, რა დონეზე იდგა მაშინ სტუდენტთა ფეხბურთი ჩვენს რესპუბლიკაში. მინდა გაგაცნოთ ის შემადგენლობა, რომელიც ამ შეჯიბრებაში იცავდა საქართველოს ღირსებას: კავსაძე, ნადარეიშვილი, კინწურეიშვილი, ჟორდანია, ჯოჯუა, ნარსია, გულისაშვილი, ჯორჯიკია, ხარბედია, ანდღულაძე, ეგიაზაროვი.

● **1939 წელს თქვენ უკვე თბილისის „დინამოში“ ხართ, თქვენი მოსვლის შემდეგ შეწყდა ფოთელ ფეხბურთელთა „ექსპორტი“ პირველ გუნდში?**

— ფოთიდან რამდენიმე წლის შემდეგ გუნდში მოვიდა გოგი ანთაძე, ეს იყო და ეს. შემდგომ, სამწუხაროდ, ფოთი საქართველოს მოწინავე კლუბებს ღირსეულ შევსებას ვეღარ აძლევდა. „დინამოში“ 1946 წლამდე გამოვდიოდი, მაგრამ ტრავმებმა საშუალება აღარ მომცა, გამეგრძელებინა თამაში. 26 წლისა ვიყავი, ჩემი სპორტული კარიერა რომ დამთავრდა.

● **ვისაც დიდი ფეხბურთი უთამაშია, მოსაგონარს რა გამოულევს. თქვენი თაობის ფეხბურთელებს არაერთი ბრწყინვალე წარმატება გაქვთ მოპოვებული, დასანანი შეხვედრებიც საკმაოდ გქონიათ. იქნებ გაიხსენოთ რაიმე საინტერესო ეპიზოდები თქვენი სპორტული ცხოვრებიდან.**

— კარგის გახსენებით დავიწყოთ. 1939 წლის სეზონის მიწურულს თბილისში „დინამოს“ სტადიონზე მოსკოვის ცდკა-ს ვხვდებოდით. არმიელებთან ყოველი მატჩი ჩვენთვის პრინციპული იყო, იმ წელიწადს კი ორმაგი ამოცანა გვქონდა გადასაწყვეტი: რევანში აგვეღო მოსკოვში დამარცხებისთვის და თბილისში გამარჯვებით მეორე ადგილისთვის ბრძოლა გაგვეგრძელებინა. მოსკოველებიც ამ ადგილს უმიზნებდნენ და ჩვენთან შეხვედრაში მათ ფრეც ხელს აძლევდათ. ყველაფერმა ამან განაპირობა ის დაძაბულობა, რაც ასეთ პრინციპულ მატჩებს ახლავს თან. პირველი ბურთი გაიტანა შჩერბატენკომ, საპასუხო — ბორის პაიჭაძემ. თითქოს ამას ელოდნენო, მოსკოველებმა პირველ ტაიმში თამაშის ხსნის ყველანაირი იმედი გადაგვიწურეს და ჩვენს კარში ოთხი ბურთი გაიტანეს.

შესვენებისას მოსკოველთა მწვრთნელმა თავის ადმინისტრატორს დაავალა მოსკოვში დეპეშა გაეგზავნა, რათა ცდკა-ს წარმატება ეხარებინა. ეს ამბავი ვიღაც გულშემატკივარმა შემთხვევით შეიტყო და ჩვენს ყურამდეც მოიტანა. ამან კიდევ უფრო განგვაწყო საბრძოლველად.

მეორე ტაიმში სურათი რადიკალურად შეიცვალა, უკვე მეორე წუთზე ერთ-ერთი ჩემი გარღვევა მეტოქის საჯარიმოში აკრძალული ილეთით შეაჩერეს. 11-მეტრიანი უშეცდომოდ შეასრულა მიხეილ ბერძენიშვილმა, რომლის დარტყმის შემდეგაც მეკარემ ისღა შეძლო, რომ თვალი გაეყოლებინა ბურთისათვის. დარჩენილ დროში პარტნიორების ჩინებული გადაცემების შემდეგ ორჯერ მომეცა თავის გამოჩენის საშუალება — თამაშის დამთავრებამდე ხუთი წუთით ადრე ანგარიში 4:4 იყო. მოვლენების ასე კალეიდოსკოპური სისწრაფით შემობრუნებას სტუმრები არ ელოდნენ. მათ რიგებში პანიკამ დაისადგურა, რითაც საუცხოოდ ისარგებლა გაიოზ ჯეჯელავამ და მეხუთე, გამარჯვების ბურთი გაიტანა მეტოქის კარში. ბოლო წუთებზე მოსკოველებს მაინც მიეცათ თამაშის ხსნის საშუალება, ფედოტოვმა მძლავრად დაარტყა დოროხოვის კარში. ის, რაც შემდეგ მოხდა, უფრო სასწაულს უნდა მივაწეროთ. ალექსანდრმა შეძლო უძნელესი ბურთის აღება, მსგავსი რეაქცია არც ადრე და არც შემდგომ მე არ მინახავს. 5:4 — ასე მოვიგეთ ეს დრამატიზმით აღსავსე მატჩი. როგორც სპეციალისტები და ჟურნალისტები აღნიშნავდნენ, ცუდად არც მე მითამაშია.

რაც შეეხება უსიამოვნო მოგონებებს, მახსენდება თასის გათამაშების ნახევარფინალური მატჩი ლენინგრადში, სადაც მსაჯების მიკერძოებამ ყოველგვარ მოლოდინს გადააჭარბა. გუნდის ხელმძღვანელობამ პროტესტი შეიტანა ფეხბურთის საკავშირო ფედერაციაში და მატჩის გადათამაშება მოითხოვა. მოხდა წარმოუდგენელი რამ: შეხვედრა იმდენად მიკერძოებულად იყო ჩატარებული მოსკოველი მსაჯების მიერ, რომ ჩვენი პროტესტი დააკმაყოფილეს. დაინიშნა დამატებითი შეხვედრა, მაგრამ აქ თურმე უარესი გველოდა. ამ შეხვედრაში ჩვენს კარში ორი 11-მეტრიანი დაინიშნა, ორივეჯერ დამნაშავედ ჩვენი მეკარე ალექსანდრ დოროხოვი გამოიყვანეს, რომელიც ყოველთვის გამოირჩეოდა სუფთა და კორექტული თამაშით. როგორც იტყვიან, კომენტარი ზედმეტია.

● **თქვენ ბევრ მწვრთნელთან გითამაშიათ თქვენი საფეხბურთო კარიერის მანძილზე. ვინ მიგაჩნიათ მათგან საუკეთესოდ?**

— ანდრო ჟორდანიათი დავიწყებ. ამ კაცს ჰქონდა ყველაფერი ის, რაც მაღალი რანგის მწვრთნელს უნდა ჰქონდეს. მისი წაპოვნი პერსპექტიული ჭაბუკი იშვიათად, რომ ფეხბურთელი არ გამხდარიყო. მის სასელექციო ნიჭსა და უნარზე ბევრი შეიძლება კაცმა ილაპარაკოს, ძველი თაობის მოთამაშეთა უმეტესობა ხომ მის ხელში ეზიარა ფეხბურთს.

მაგონდება ლენინგრადელი მწვრთნელი მიხაილ ბუტუსოვიც, რომელმაც ორი წელი იმუშავა ჩვენს გუნდში. ძნელად, რომ ფეხბურთელს რამე გამოეპარებინა მისთვის, ჩვენს კარგსაც და ავსაც პირველი სწორედ ის ხედავდა. საწვრთნელი ვარჯიშის დამთავრების შემდეგ იგი დაღამებამდე რჩებოდა მინდორზე და ცალკეულ ფეხბურთელებთან ერთად ხვეწდა იმ ილეთს, რომელიც კარგად არ გამოგვდიოდა.

● **თქვენ საქართველოს ბევრი თაობის ფეხბურთელთა თამაში გახსოვთ, რა თქმა უნდა, ძნელია, მაგრამ იქნებ სცადოთ და დაგვისახელოთ ყველა დროის საუკეთესო ნაკრები?**

— ძნელი და შეუძლებელიცაა შეადგინო რესპუბლიკის ისეთი იდეალური ნაკრები, რომლის ყველა რგოლიც გამორჩეული სიძლიერის ფეხბურთელებით იქნება დაკომპლექტებული. ჩვენს ფეხბურთში ბევრ ნიჭიერ თაობას უთამაშია, რომლებიც წლების განმავლობაში დიდ სიხარულს ანიჭებდნენ ფეხბურთის თაყვანისმცემლებს. ამიტომ, თუ ვინმე გამომრჩება, ნუ დამძრახავთ, ისე კი ჩემეული ნაკრები ასეთი იქნებოდა: დოროხოვი, ელოშვილი, ხურცილავა, ჩივაძე, ჩოხელი, ღოღობერიძე, გიორგი სიჭინავა, გაგუა, მეტრეველი, პაიჭაძე, მესხი.

ესაუბრა **ზაზა კახაძე.**

# საქართველოს სპორტულ ჟურნალისტთა ფედერაციის წესდება

(დასასრული)

ცვა, რომლებიც სპორტულ თემას ამუშავებენ;

6. დასახული მიზნების განსახორციელებლად ფედერაცია:

ა) ატარებს შემოქმედებით კონკურსებს;

ბ) აწყობს სემინარებს, შემოქმედებით შეხვედრებსა და ანგარიშებს, უზრუნველყოფს თავისი წევრების ცოდნის გაღრმავებას;

გ) აქტიურად მონაწილეობს პრესცენტრის ორგანიზებასა და მუშაობაში, ბეჭდვითი, რადიო და ტელევიზიის მუშაკთათვის პრესკონფერენციებს აწყობს საქართველოში ფიზკულტურისა და სპორტის განვითარების საკითხებზე;

დ) ემყარება რა ბეჭდვით კანონს, განიხილავს ჟურნალისტური ეთიკის დარღვევის საკითხებს;

ე) თავის წარმომადგენლებს წამოაყენებს რესპუბლიკის ხელმძღვანელ სპორტულ ორგანიზაციებში, აგრეთვე სამთავრობო კომისიებში, საკავშირო და საერთაშორისო სპორტულ სახეობათა ფედერაციებში.

ვ) ფედარაციის შემოქმედებითი საქმიანობიდან გამომდინარე, წინადადებებითა და მოთხოვნებით გამოდის სახელმწიფო, საზოგადოებრივ და სხვა ორგანიზაციათა წინაშე;

ზ) წაახალისებს იმ წევრებს, რომლებსაც საგრძნობი წვლილი შეაქვთ ფედერაციის მუშაობაში:

თ) დადგენილი წესის მიხედვით ხსნის ანგარიშებს საბანკო დაწესებულებებში;

ი) არსებული წესის მიხედვით, გავლინება იმ წარმოება-დაწესებულებათა და ორგანიზაციათა დამაარსებლად, რომელთა მოღვაწეობა შეესატყვისება ფედერაციის მიზნებსა და ამოცანებს;

კ) მოქმედი კანონმდებლობის თანახმად, იძენს, იჯარით იღებს ან უფასოდ იყენებს საწარმოო, სოციალურ და კულტურულ-საყოფაცხოვრებო შენობებსა და სპორტნაგებობებს;

ლ) აქვს თავისი ქონება და მისი დანიშნულებისამებრ გამოყენების უფლება;

მ) კავშირს ამყარებს საერთაშორისო ორგანიზაციებთან და მათ წევრებთან თავისი მიზნებისა და ამოცანების შესაბამისად;

7. ფედერაცია, აგრეთვე მისი ობიექტები და ორგანიზაციები წარმოადგენენ იურიდიულ პირებს, აქვთ თავისი სახელწოდების შტამპი და ბეჭედი, პასუხისმგებელნი არიან ნაკისრი ვალდებულებებისა თავისი მატერიალური შესაძლებლობის ფარგლებში, იმ ქონების გამოკლებით, რომელზედაც კანონით შეუძლებელია ფულის ზღვევინება.

8. ფედერაციას აქვს ემბლემა, დროშა, მის წევრებს აქვთ სამკერდე ნიშანი და ფედერაციის მიერ დამტკიცებული პირადობის მოწმობა.

## III. სსჟფ-ის წევრები, მათი უფლებები და მოვალეობანი

9. ფედერაციის წევრი შეუძლია გახდეს ის პირი, რომელიც მასობრივი ინფორმაციების საშუალებებით ამუშავებს სპორტულ თემატიკას და სცნობს მის წესდებას.

10. ასოციაციაში მიღება და გამოსვლა წარმოებს პრეზიდიუმის მიერ წევრის პირადი განცხადების საფუძველზე.

11. ფედერაციის წევრს უფლება აქვს:

ა) აირჩიოს და არჩეულ იქნას ფედერაციის ხელმძღვანელ ორგანოებში;

ბ) იმედი იქონიოს იმ ყოველმხრივ მხარდაჭერაზე, დაცვაზე, დახმარებაზე, რაც ფედერაციას ხელეწიფება;

გ) ფედერაციის მოღვაწეობის შესახებ ნებისმიერი ინფორმაციის მიღებისა;

დ) ფედერაციასა და მის ორგანოებში განსასჯელად შეიტანოს და განიხილოს ფედერაციის საქმიანობასთან დაკავშირებული ნებისმიერი საკითხი;

ე) გახდეს საერთაშორისო სპორტული პრესის ფედერაციის წევრი;

ვ) საქართველოს რესპუბლიკის ტერიტორიაზე ჩატარებულ ყველა შეჯიბრებაზე აქვს აკრედიტაციის უპირატესობა;

ზ) სურვილისამებრ, შეუძლია შექმნას ფედერაციის რეგიონალური განყოფილება, არანაკლებ 5 კაცის შემადგენლობით.

12. ფედერაციის წევრი ვალდებულია:

ა) შეასრულოს ფედერაციის წესდება;

ბ) რეგულარულად შეიტანოს საწევრო გადასახადი:

გ) აქტიური მონაწილეობა მიიღოს ფედერაციის მუშაობაში;

დ) დაიცვას ჟურნალისტური ეთიკა.

13. ფედერაციის წესდების დარღვევისთვის მისი წევრი იმსახურებს საზოგადოებრივ გაკიცხვას და შეიძლება გაირიცხოს კიდეც ფედერაციიდან.

14. ფედერაციის წევრობიდან გარიცხვის საკითხი შეიძლება ყრილობაზე გაპროტესტდეს.

## IV. ფედერაციის სტრუქტურა

15. ფედერაციის უმაღლესი ორგანოა მისი წევრების კონფერენცია, რომელიც მოიწვევა არაუგვიანეს ორ წელიწადში ერთხელ. საანგარიშო-საარჩევნო კონფერენცია კი ოთხ წელიწადში ერთხელ.

ა) საგანგებო კონფერენცია მოიწვევა ფედერაციის არანაკლები 1/3 წევრის მოთხოვნით.

16. სსჟფ კონფერენცია:

ა) განსაზღვრავს ფედერაციის მოღვაწეობის ძირითად მიმართულებებს;

ბ) ირჩევს პრეზიდიუმს, ფედერაციის თავმჯდომარეს და სარევიზიო კომისიას; ფედერაციის თავმჯდომარე შეიძლება აირჩეს არაუმეტეს ორი მოწვევის ვადით ზედიზედ, ანუ რვა წლით;

გ) ისმენს და ამტკიცებს პრეზიდიუმისა და სარევიზიო კომისიის ანგარიშებს;

დ) ამტკიცებს წესდებას და შეაქვს მასში ცვლილებანი.

17. კონფერენცია უფლებამოსილია მიიღოს გადაწყვეტილებანი წევრთა ხმის უმრავლესობით, დელეგატთა 2/3 დასწრებისას.

18. კონფერენციებს შორის ფედერაციის ხელმძღვანელობას პრეზიდიუმი ახორციელებს, რომელიც 4 წლით ირჩევა. პრეზიდიუმის წევრთა რაოდენობას კონფერენცია ადგენს.

სსჟფ-ის პრეზიდიუმი:

ა) განაგებს ასოციაციის მუშაობას ყრილობებს შორის;

ბ) ირჩევს თავმჯდომარის მოადგილეებს და კომისიის ხელმძღვანელებს;

გ) ამტკიცებს ფედერაციის და კომისიების მუშაობის გეგმებს;

დ) განიხილავს და ამტკიცებს ფედერაციის შემოსავლისა და გასავლის ხარჯთაღრიცხვას;

ე) ამტკიცებს ფედერაციის სტრუქტურასა და შტატებს;

ვ) ფედერაციის საშტატო თანამდებობებზე ნიშნავს მუშაკებს.

19. პრეზიდიუმის ვადამდე გაწვევა ხდება კონფერენციის გადაწყვეტილებით.

20. ფედერაციის პრეზიდიუმი თავის სხდომაზე იკრიბება არაუმეტეს ორ თვეში ერთხელ.

21. ფედერაციის თავმჯდომარე:

ა) მინდობილობის გარეშე მოქმედებს ყველა დონის წარმომადგენლობაზე — სასამართლოში, არბიტრაჟში და ა. შ.;

ბ) ხელს აწერს ყველა ფინანსურ საბუთს, აგრეთვე ორგანიზაციის კუთვნილი ქონების განმგებელ მინდობილობებს:

გ) ორ თვეში ერთხელ მაინც ანგარიშით წარსდგება ფედერაციის პრეზიდიუმის წინაშე.

22. შეიძლება გაანთავისუფლონ მოვალეობის შესრულებისაგან. საბოლოო გადაწყვეტილებას იღებს საგანგებო კონფერენცია. თავმჯდომარე იმ შემთხვევაში ტოვებს თავის პოსტს, თუ მის წინააღმდეგ ხმას მისცემს კონფერენციაზე დამსწრე ფედერაციის წევრთა ნახევარზე მეტი. თავმჯდომარისადმი უნდობლობის საკითხი განსახილველად გააქვს პრეზიდიუმს საგანგებო კონფერენციაზე, თუ მას კენჭს უყრის მისი შემადგენლობის ნახევარზე მეტი.

23. კონფერენციის მიერ ირჩევა სარევიზიო კომისია პრეზიდიუმის საქმიანობის გასაკონტროლებლად.

24. სარევიზიო კომისია წელიწადში ერთხელ მაინც ამოწმებს წესდების შესრულებას, ფედერაციის ყველა ქვეგანაყოფის საფინანსო-სამეურნეო მოღვაწეობას, მიღებული გადაწყვეტილებების შესრულებას.

## V. თანხების, დაფინანსების წყაროები და ფედერაციის გასავალი

25. ფედერაციის თანხები შედგება:

ა) ფედერაციაში წევრთა გაწევრიანებისა და საწევრო ანარიცხებისაგან;

ბ) რესპუბლიკის სპორტული ორგანიზაციებიდან სუფსიდიებისა და მიზნობრივი დაფინანსებისაგან;

გ) გამომცემლობების ნებაყოფლობითი შენატანებისაგან, მასობრივი ინფორმაციის ორგანოებიდან, შემოქმედებითი კავშირებისაგან, კოოპერატიული, საზოგადოებრივი ორგანიზაციებიდან და სახელმწიფო დაწესებულებებიდან, საზღვარგარეთის ეროვნული და საერთაშორისო ორგანიზაციებიდან, ცალკეული საბჭოთა და უცხოელი მოქალაქეებისგან, აგრეთვე იმ საწარმოთა მოგების ნაწილიდან, რომლებიც ფედერაციის მეშვეობით შეიქმნა.

დ) სხვა საშუალებებითაც, რომლებიც ფედერაციის მოღვაწეობისა და ღონისძიებათა გატარებითაა მიღებული.

26. გაწევრიანებისა და საწევრო გადასახადის ოდენობას კონფერენცია განსაზღვრავს.

27. მთელი თანხის განაწილების ნუსხას კონფერენცია ადგენს, კონფერენციებს შორის პერიოდში კი პრეზიდიუმი.

28. ფედერაციის ფულადი სახსრები მოხმარდება მისი მიზნებისა და ამოცანების განხორციელებას, სხვადასხვა ღონისძიებების ჩატარებას, პროექტებისა და პროგრამების შედგენას, სოციალურ საჭიროებათა ჩათვლით, რომლებიც დამტკიცებულია კონფერენციისა და ფედერაციის პრეზიდიუმის მიერ.

## VI. ფედერაციის საქმიანობის შეწყვეტა.

29. სსჟფ უქმდება ფედერაციის წევრთა არაუმეტეს 2/3 გადაწყვეტილებით, ანდა იმ ორგანიზაციის გადაწყვეტილებით, რომელმაც დაამტკიცა წესდება.

კონფერენცია ნიშნავს სალიკვიდაციო კომისიას და ამტკიცებს ლიკვიდაციის პროცედურას. არსებული სამოქალაქო კანონმდებლობის საფუძველზე ხდება ფედერაციის დარჩენილი ქონების რეალიზაცია.

**პროექტის ორი ვარიანტიდან დღეს ჩვენ გამოვაქვეყნეთ ერთი, რომელიც უფრო დახვეწილად მივიჩნიეთ. სიამოვნებით განვიხილავთ სხვა ალტერნატიულ ვარიანტსაც, თუკი ვინმე თავის მხრივ შემოგვთავაზებს.**

## ეს-ესაა შევიტყვეთ...

(დასასრული)

### გათამაშების ცხრილი

| | მ. | ფ. | წ. | ქ. |
|---|---|---|---|---|
| „ბარსელონა“ | 19 | 4 | 2 | 42 |
| „ატლეტიკო“ (მად.) | 11 | 9 | 2 | 37 |
| „ოსასუნა“ | 11 | 9 | 5 | 31 |
| „რეალი“ (მად.) | 12 | 4 | 9 | 28 |
| „სევილია“ | 12 | 4 | 9 | 28 |
| „ვალენსია“ | 11 | 6 | 8 | 28 |
| „სპორტ.“ (ხიხონი) | 9 | 9 | 7 | 27 |
| „ლოგრონიესი“ | 9 | 8 | 8 | 26 |
| „ოვიედო“ | 8 | 9 | 7 | 25 |
| „სან-სებასტიანი“ | 7 | 10 | 8 | 24 |
| „ბურგოსი“ | 6 | 11 | 8 | 23 |
| „ესპანიოლი“ | 8 | 7 | 10 | 23 |
| „სარაგოსა“ | 7 | 7 | 11 | 21 |
| „მალიორკა“ | 7 | 7 | 11 | 21 |
| „ვალიადოლიდი“ | 6 | 9 | 10 | 21 |
| „ატლეტიკო“ (ბილ.) | 9 | 2 | 13 | 20 |
| „კასტელონი“ | 5 | 10 | 10 | 20 |
| „ტენერიფე“ | 8 | 4 | 13 | 20 |
| „კადისი“ | 4 | 9 | 12 | 17 |
| „ბეტისი“ | 4 | 8 | 13 | 16 |

### ჰოლანდია

**მე-20 ტური.** „ტვენტე“ — სვვ 2:1, ნეკ — „როდა“ 1:2, მვვ — რკკ 0:1, „გრონინგენი“ — „ჰეერენვენი“ 1:1, „ვოლენდამი“ — „დენ ჰააგი“ 1:0, „ფეიენორდი“ — „ვილემ II“ 0:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „ეინდჰოვენი“ | 19 | 51-12 | 31 |
| „გრონინგენი“ | 20 | 38-20 | 28 |
| „აიაქსი“ | 17 | 43-13 | 26 |

### ბელგია

**25-ე ტური.** „ეკერენი“ — „გენტი“ 3:1, „ვარეგემი“ — „მეჰელენი“ 1:0, „სტანდარდი“ — „სერკლი“ 3:2, „ბრიუგე“ — „სენ ტრუდენი“ 2:0, „ლიერსი“ — „ლიეჟი“ 1:1, „ანდერლეხტი“ — „კურტრე“ 3:0, „გენკი“ — „მოლენბეკი“ 0:0, „ბეერშოტი“ — „ლოკერენი“ 2:0, „შარლერუა“ — „ანტვერპენი“ 1:1,

| | | | |
|---|---|---|---|
| „ანდერლეხტი“ | 25 | 59-18 | 39 |
| „გენტი“ | 25 | 53-25 | 39 |
| „ბრიუგე“ | 25 | 44-19 | 35 |
| „მეჰელენი“ | 25 | 40-21 | 35 |

### საბერძნეთი

**22-ე ტური.** „იონიკოსი“ — „პაოკი“ 3:2, „იანინა“ — „აპოლონი“ 2:2, „ჰერაკლისი“ — „ლარისა“ 2:1, „არისი“ — „ოფი“ 1:1, „ქსანთი“ — „ათინაიკოსი“ 0:2, „დოქსა“ — „პანსერაიკოსი“ 2:0, „პანათინაიკოსი“ — „ოლიმპიაკოსი“, 0:1, აეკ — „ლევადიაკოსი“ 3:1, „პანიონისი“ — „პანახაიკი“ 1:1.

| | | | |
|---|---|---|---|
| „პანათინაიკოსი“ | 22 | 47-16 | 33 |
| „ოლიმპიაკოსი“ | 22 | 51-17 | 31 |
| აეკ | 22 | 38-15 | 29 |

### პოლონეთი

„ლასკ“ — „ლეჰი“ 0:0, „გურნიკი“ — გკს 2:0, „ზაგლებიე“ (ლუბინი) — „იგლოოპოლი“ 4:0, „ოლიმპი“ — „ზავიშა“ 1:0, „რუხი“ — „ზაგლებიე“ (სოსნოვეცი) 2:0, „მოტორი“ — ლკს 2:0, „სტალი“ — „ჰუტნიკი“ 1:1, „ვისლა“ — „ლეგია“ 0:0

### რუმინეთი

„უნივერსიტატია“ (კრაიოვა) — „პეტროლული“ 3:0, „დინამო“ — „ბაკაუ“ 2:1, „რაპიდი“ — „პოლიტექნიკა“ 2:1, „პროგრესული“ — „სტიაუა“ 1:1, „ბრაშოვი“ — „კორვინული“ 2:0, „ბიჰორი“ — „სპორტული“ 2:2, „გლორია“ — „ინტერი“ 1:0, „ფარული“ — „ჟიული“ 0:0, „უნივერსიტატია“ (კლუჟი) — „არჯესი“ 0:0.

### ჩეხოსლოვაკია

„დუკლა“ (პრაღა) — „ზბროიოვკა“ 1:1, „ვიტკოვიცე“ — „პრეშოვი“ 1:0, „უნიონი“ — „სპარტაკი“ 2:0, „სლავია“ — „ბანიკი“ 4:1, „დუნაისკას სტრედა“ — „ბოჰემიანსი“ 1:0, „დუკლა“ (ბანსკა ბისტრიცა) — „სლოვანი“ 0:0, „ინტერი“ — „მიტრა“ 3:3, „სიგმა“ — „სპარტა“ 1:0.

### ალბანეთი

„დინამო“ — „ტრაქტორი“ 2:0, „ლუფტეტარი“ — „ფლამურტარი“ 0:1, „პარტიზანი“ — „ბესა“ 1:1, „ტომორი“ — „ნენტორი — 17“ 0:0, „ვლაზნია“ — „ლაბინოტი“ 0:0, „სკენდერბეუ“ — „ლოკომოტივი“ 2:1, „აპოლონია“ — „კასტროიტი“ 4:1,

### ბულგარეთი

„ბეროე“ — „ლევსკი“ 1:1, „ლოკომოტივი“ (პლოვდივი) — „ლოკომოტივი“ (გორნა ორიახოვიცა) 3:2, „ჰასკოვო“ — „სლივენი“ 2:1, „ლოკომოტივი“ (სოფია) — „მინიორი“ 5:2, „ჩერნომორეცი“ — „იანტრა“ 0:0, „დუნავი“ — „პირინი“ 0:1, „სლავია“ — ცსკა 0:0.

### იუგოსლავია

„ზემანი“ — „ვოივოდინა“ 2:1, „რიეკა“ — „ოსიეკი“ 2:0, „ოლიმპია“ — „სპარტაკი“ 5:0, „რადნიჩკი“ — „ცრვენა ზვეზდა“ 0:4, „ჰაიდუკი“ — „ბუდუჩნოსტი“ 1:0, „პროლეტერი“ — „რადი“ 2:1.

### საფრანგეთი

**თასის მატჩები.** „ვენისე“ — „ბრესტი“ 0:2, „მანდელიე“ — „სენტ-ეტიენი“ 0:6, „პლაბენეკი“ — „ლემანი“ 1:4.

• • •

მიმოხილვა მომზადებულია „ინტერნეიშნლ სპორტს ნიუსის“ მიხედვით. მასალები მივიღეთ საქართველოს ინფორმატიკისა და ტელეკომუნიკაციის ინსტიტუტთან თანამშრომლობით.



## ფავორიტის შერყეული ტახტი

**ბოკა-რეიტონი (აშშ).** ჩოგბურთელთა აქ მიმდინარე საერთაშორისო ტურნირში გამარჯვებას გერმანელი შტეფი გრაფისთვის, ყველაფერს რომ თავი დავანებოთ, პრესტიჟული მნიშვნელობა ჰქონდა, თორემ მსოფლიოს საუკეთესო ჩოგბურთელის სახელს იგი ყველა ვარიანტში ჰკარგავდა. გრაფი, რომელიც ამ ტურნირში, ბუნებრივია, პირველ ნომრად იყო განთესილი, ფინალში გავიდა. ფინალში გავიდა, აგრეთვე, არგენტინელი გაბრიელა საბატინი, რომელიც ბოლო დროს წარმატებით უმკლავდება ფავორიტს. ამჯერადაც საბატინი უფრ. აქტიური იყო პირველ პარტიაში და ბრძოლა თავის სასარგებლოდ დაამთავრა. მეორე პარტია უაღრესად დაძაბული გამოდგა, მაგრამ არგენტინელმა ისიც მოიგო 7:6 (8:6) და მასთან შეხვედრაც. პირველი პრიზი გაბრიელა საბატინის გადაეცა.

**ინდიან-უელსი (აშშ).** ტურნირი, რომელსაც უნდა გამოევლინა ჩემპიონთა თასის მფლობელი მოიგო მეთექვსმეტე ნომრად განთესილმა ამერიკელმა ჩოგბურთელმა ჯიმ კურიემ. (როგორც ცნობილია, საპრიზო ფონდი აქ მილიონ დოლარს შეადგენდა). გადამწყვეტ ორთაბრძოლაში, ფრანგ გი ფორჟესთან, რომელიც 2 საათსა და 56 წუთს გრძელდებოდა, გამარჯვება ამერიკელმა იზეიმა 4:6, 6:3, 4:6, 6:3, 7:6.

## „სპორტლოტო“

**გაიმართა** „სპორტლოტოს“ 1991 წლის მე-10 ტირაჟები.

**„სპორტლოტო 6 45“-დან:** 11 (ფრენბურთი), 13 (სამთოსათხილამურო რბოლები), 17 (სალიგურაო სპორტი), 20 (აფროსნობა), 25 (საციგაო სპორტი), 29 (სასტენდო სროლა).

**„სპორტლოტო 5 36“-დან:** 4 (კრივი), 10 (წყალბურთი), 14 (აკადემიური ნიჩბოსნობა), 31 (ფარიკაობა), 33 (ფეხბურთი).

**რედაქტორი**
**თენგიზ ბაჩეჩილაძე**

საქართველოს რესპუბლიკის სპორტის დეპარტამენტის თანამშრომლები და გაზეთ „ლელოს“ რედაქცია თანაუგრძნობენ თენგიზ რუხაძეს მამის

**სერგო რუხაძის**

გარდაცვალების გამო.

„ლელოს“ დღევანდელ ნომერზე მორიგეობდა ო. ნოზაძე. კორექტორები: მ. ძეძამიძე და ე. ხომერიკი.

ჩვენი მისამართი:
წერილებისთვის — 380096
თბილისი, მ. კოსტავას, 14,
დეპეშებისთვის — თბილისი, „ლელო“.

რედაქციის ტელეფონები:
წერილების განყოფილება — 93-97-55
სამდივნო — 93-97-52
ინფორმაციის განყოფილება — 93-97-54.
„მერანი“ — 93-97-26, „ნორჩი“ — 93-97-27.

ჩვენი ინდექსი 66435

საქართველოს ჟურნალ-გაზეთების გამომცემლობა „საბჭოთა საქართველოს“ სტამბა. 380096, თბილისი, მ. კოსტავას, 14. იბეჭდება ოფსეტური წესით, ხაგაზეთო კორპუსში, მოცულობით, 29.

ხელნაწერი ავტორებს არ უბრუნდებათ. თბილისელ ავტორებს პასუხი არ ეგზავნებათ.

1 2 3 4 5 6 7 8 9 10 11 12 13 14 15 16 17 18 19 20